

გ. მირზაშვილი

აქტუარის პროფესიის საწყისები

სიტყვა აქტუარი ლათინური *actuarius*-იდან არის ნაწარმოები. იულიუს კეისარის დროს, ძველ რომში, ასე ერთი მხრივ, მათ უწოდებდნენ, ვინც სენატში *Acta Publica*-ში აქტების ჩაწერას აწარმოებდა, ხოლო, მეორეს მხრივ, ოფიცრებს, რომლების სამხედრო მომარაგების საკითხებსა და ამასთან დაკავშირებულ ყოველგვარ ანგარიშსწორებას განაგებდნენ.

ამ სიტყვის ინგლისურმა ვერსიამ, *actuary*, დროთა განმავლობაში მრავალი ცვლილება განიცადა. თავიდან ასე ყოველგვარ კლერკებსა და მოხელეებს უწოდებდნენ, შემდგომ – ერთობლივი კომპანიების (*joint-stock companies*), განსაკუთრებით კი სადაზღვევო კომპანიების მდივნებსა და მრჩეველებს. თანდათანობით ტერმინ აქტუარს ერთადერთი მნიშვნელობა შერჩა – პიროვნება, რომელიც ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობასთან დაკავშირებულ ალბათობების გამოთვლასა და მათ საფუძველზე სიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტებისა და წლიური რენტის გათვლას აწარმოებდა.

თანამედროვე გაგებით, აქტუარი არის ექსპერტი სადაზღვევო მათემატიკაში. ხშირად მათ სოციალურ მათემატიკოსებსაც უწოდებენ, ვინაიდან ისინი განსაკუთრებულ როლს ასრულებენ არა მარტო სადაზღვევო კომპანიების, არამედ საპენსიო და სხვა ფონდების სტრატეგიისა და პოლიტიკის განსაზღვრაში.

დაზღვევა (*insurance, assurance*) არის ისეთი სოციალური მექანიზმი, რომელიც ინდივიდუუმებსა და სხვადასხვა ორგანიზაციებს ამა თუ იმ არასასურველი გარემოებებით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგების კომპენსირების საშუალებას აძლევს. თავისი შინაარსით ეს მექანიზმი ზარალის გადანაწილების საშუალებას წარმოადგენს – მრავალი ეკონომიკური ერთეული შედარებით მცირე გადასახადს (სადაზღვევო პრემიას) იხდის და ამით იმ დიდ ზარალს ანაზღაურებს, რომელიც ზოგიერთ მათგანს მოსდის.

დაზღვევა საზოგადოების ეკონომიკური სტაბილიზაციის ერთ-ერთი ძველი საშუალებაა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო ეკონომიკურად განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო დახვეწილი და სრულყოფილი დაზღვევის სისტემა მოქმედებს მასში. საინტერესოა თვალი გადავავლოთ ამ სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიას, მით უმეტეს, რომ აქტუარის პროფესიის განვითარება ამ ისტორიასთან განუწყვეტლივ არის დაკავშირებული.

დაზღვევის მოკლე ისტორია. გარკვეული აზრით, დაზღვევის იდეა ისეთივე ძველია, როგორც თავად კაცობრიობის ისტორია.

დაზღვევის უძველეს, ჩვენთვის ცნობილ ფორმებს, საზღვაო გადაზიდვების ე.წ. *bottomry* და *respondencia* კონტრაქტები წარმოადგენს. ცნობები ამ კონტრაქტების შესახებ ბაბილონის ჩანაწერებში აღმოაჩინეს, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-III ათასწლეულებს მიეკუთვნება.

Bottomry (*bottom* – ძირი) ისეთ კონტრაქტს წარმოადგენდა, რომელიც თავისი შინაარსით დაგირავება იყო – გემის მფლობელი იღებდა სესხს (მაგალითად, გარკვეული საქონლის სახით, რომელიც რაიმე ადგილზე იყო მისატანი), გირაოში კი დებდა არა მარტო გემს ან სხვა ფასეულობას, არამედ საკუთარ და ოჯახის წევრების სიცოცხლეს (რაც იმ დროს მონობას ნიშნავდა). *Respondencia*-ს შემთხვევაში, გირაოში საქონელი იღებოდა.

ბაბილონში ისეთი სადაზღვევო კონტრაქტებიც შეიმუშავეს, რომლებიც ტვირთის რისკიანი გადაზიდვისას, გადამზიდველის დატყვევების ან დაყარალების შემთხვევაში, გაცემული სესხის გაუქმებას ითვალისწინებდა.

ჰამურაბის (Hammurabe) მეფობის დროს (II ათასწლეული ჩვენს წელთაღრიცხვამდე), როდესაც ბაბილონი მსხვილ სავაჭრო ცენტრად იქცა და მასზე მრავალი საქარაენო გზა გადიოდა, ამგვარი კონტრაქტების პრაქტიკა ლეგალიზებულ იქნა (“ჰამურაბის კოდექსი”).

ცნობილია, რომ შემდგომში ეს პრაქტიკა ფინიკიელების მეშვეობით ბერძნებთან, რომაელებთან და ინდუსებთან გადავიდა, რაც რომის ცივილიზაციის აღრინდელ კოდექსებსა და ბიზანტიის იმპერიის კანონებშია ასახული.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 600 წლიდან, რომის იმპერიის დაცემამდე (ჩვენი წელთაღრიცხვის 476 წელი), რომაული *collegia* (ასოციაციები, გილდიები) მოქმედებდნენ, რომლებიც თავიდან რელიგიური ჯგუფების სახით ყალიბდებოდნენ. შემდგომში მათი საქმიანობა უფრო უტილიტარული გახდა, მაგალითად, ე.წ. დამკრძალავი კლუბების მეშვეობით, ისინი დაკრძალვასთან დაკავშირებულ მომსახურებას აწარმოებდნენ. კლუბებში დაკრძალვისათვის აუცილებელი თანხის გადახდა ხდებოდა და აქვე სიცოცხლის დაზღვევის პირველ ჩანასახებსაც ვხვდებით.

“წლიური რენტის” (annuity) კონტრაქტები რომაელებისთვის უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში იყო ცნობილი. ამ კონტრაქტების მიხედვით, სადაზღვევო კომპანიას ერთჯერად გადასახადს უხდიან, სამაგიეროდ კი, გარკვეული დროის განმავლობაში, პერიოდულად, ფიქსირებულ თანხას ღებულობენ. გარკვეული აზრით, ეს კონტრაქტები სიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტების საწინააღმდეგოა. ამ უკანასკნელების თანახმად, სადაზღვევო კომპანიას გადასახადებს (პრემიებს) რეგულარულად უხდიან, ხოლო სადაზღვევო თანხას ერთბაშად ღებულობენ.

საინტერესოა, რომ რომაული კანონი (“Palcidian law”) სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ტაბულას ეფუძნებოდა. 225 წელს ულპიანემ უფრო აკურატული ტაბულები შეადგინა, რომლებიც შემდგომში მრავალი საუკუნის განმავლობაში გამოიყენებოდა.

როგორც ჩანს, “პრემიების საფუძველზე” დაზღვევის პრაქტიკა შუა საუკუნეების იტალიური ქალაქებიდან (რომი, ვენეცია, პიზა, ფლორენცია, გენუა) მოდის (დაახლოებით 1250 წლიდან). პირველი, ზუსტად დათარიღებული, სადაზღვევო ხელშეკრულება 1347 წელს გენუაში შედგა. იქვე, 1430 წელს, სიცოცხლის დაზღვევის “ნამდვილი” კონტრაქტი დაიდო, რომელიც მონებსა და ორსულ ქალებს ეხებოდა.

ქალაქების განვითარებასთან და ვაჭრობის მოცულობის ზრდასთან ერთად, სადაზღვევო კონტრაქტების პრაქტიკა შუა საუკუნეების ევროპის, პრაქტიკულად, ყველა ზღვისპირა სახელმწიფოში გავრცელდა. იმატა დაზღვევის ახალ სახეობათა რაოდენობამაც.

1666 წლის ლონდონის დიდმა ხანძარმა ხანძრისგან დაზღვევის განვითარება გამოიწვია. პირველი სადაზღვევო კომპანია, რომელიც ხანძრისგან დაზღვევას აწარმოებდა 1667 წელს შეიქმნა.

1689 წელს დაიწყო “ლოიდის ისტორია”. ედვარდ ლოიდის (Edward Lloyd) ყავის მაღაზიის ბაზაზე, სადაც გემების მფლობელები, საზღვაო მზღვეველები და ვაჭრები გადაზიდვის პირობებზე შესათანხმებლად იკრიბებოდნენ, მზღვეველებისა და სადაზღვევო ბროკერების კორპორაცია შეიქმნა. 1774 წელს, მეფის ბრძანებულებით კორპორაცია ოფიციალურად იყო დამტკიცებული, ხოლო 1871 წლის პარლამენტის აქტით რეგისტრაციაში იყო გატარებული. თავდაპირველად საზღვაო დაზღვევის საჭიროებისათვის შექმნილი, დღესდღეობით, კორპორაცია “Lloyd’s” თითქმის ყველა სახის რისკით ოპერირებას აწარმოებს. ყოველწლიური პუბლიკაცია “Lloyd’s Register of British and Foreign Shipping” მზღვეველებს ყველანაირ ინფორმაციას აწვდის, რომელიც მათ საზღვაო სადაზღვევო კონტრაქტების დასადებად სჭირდებათ.

1854 წელს ინგლისში ორთქლის ბოილერების ავარიებთან დაკავშირებული რისკების დაზღვევა დაიწყო.

1888 წლიდან დამპირაველობის პასუხისმგებლობის დაზღვევა წარმოებს, 1895 წლიდან – პასუხისმგებლობის დაზღვევა ტრანსპორტის სფეროში, 1899 წლიდან – სატრანსპორტო საშუალებების შეჯახებით გამოწვეული ზარალის დაზღვევა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ხანძრისაგან დაზღვევა 1787 წლიდან არსებობს. ამ წელს ნიუ-იორკში შესაბამისი სადაზღვევო კომპანია შეიქმნა. მსგავსი სადაზღვევო კომპანია ფილადელფიაში 1794 წელს

ჩამოყალიბდა. საინტერესოა, რომ თავიდანვე ამ კომპანიების საქმიანობაში მნიშვნელოვანი წილი ხანძრების თავიდან აცილებასა და ჩაქრობას ეკავა.

სიცოცხლის დაზღვევის პირველი კომპანია აშშ-ში 1759 წელს შეიქმნა.

1835 წელს ნიუ-იორკის დიდმა ხანძარმა მზღვეველების ყურადღება მოულოდნელად დიდი (“კატასტროფული”) ზარალის დასაფარავად საჭირო რეზერვების შექმნის აუცილებლობაზე გაამახვილა. 1871 წლის ჩიკაგოს დიდმა ხანძარმა კი ცხადყო, რომ თანამედროვე მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში ხანძრით გამოწვეული ზარალის დასაფარავად უშველებელი სადაზღვევო ანხაა საჭირო. გადაზღვევა (დაზღვევის ფორმა, როდესაც ზარალის დაფარვა მრავალი კომპანიის მიერ ხდება), რომელიც თავის დროზე, სწორედ ხანძართან დაკავშირებული კატასტროფული რისკების დასაზღვევად შეიქმნა, დღესდღეისობით დაზღვევის მრავალ სახეობაში გამოიყენება.

გარდა ამისა, აშშ-ში ისტორიულად “პირველ” სადაზღვევო სახეობათაგან აღსანიშნავია შემდეგი: სხეულის შემთხვევითი დაზიანებისაგან დაზღვევა (1864 წელი), ზარალის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაზღვევა (1880 წელი), ბინის გატეხვისაგან დაზღვევა (1885 წელი) და სხვა.

XX საუკუნეში მნიშვნელოვნად გაფართოვდა დაზღვევის ის სფერო, რომელიც შიდა გადაზიდვებს ეხება. დაზღვევას ექვემდებარება ტურისტების ბარგი, სასწრაფო ფოსტა, ტრანსპორტი, სატრანზიტო ტვირთი, ხიდები, გვირაბები და სხვა.

დღესდღეობით წარმოებს თითქმის ნებისმიერი რისკის დაზღვევა, თუ იგი დაზღვევას საერთოდ ექვემდებარება. Lloyd’s-ი, მაგალითად, აზღვევს ბალერინის ცერებს, პიანისტების თითებს, ღია ცის ქვეს მიღების დროს უამინდობის გამო მომხდარ დანაკარგებს და სხვა.

XIX საუკუნის ბოლოდან სადაზღვევო საქმიანობაში სახელმწიფოს შეღწევის მზარდი ტენდენცია შეიმჩნევა. განსაკუთრებით ეს მუშა-მოსამსახურეების დაზღვევას ეხება. ამგვარი ე.წ. “სოციალური” დაზღვევის მეშვეობით ხდება მუშა-მოსამსახურეების ინტერესების დაცვა ავადმყოფობის დროს, შრომისუნარიანობის დაკარგვისას, ხანდაზმული ასაკის მიღწევის დროს ან სამუშაო ადგილის დაკარგვის შემთხვევაში. სოციალური დაზღვევის დარგში პიონერები, როგორც ჩანს, გერმანელები არიან (1883-89 წლების კანონები). დღეს სოციალური დაზღვევა ე.წ. სავალდებულო დაზღვევის სინონიმია, განსხვავებით ნებაყოფილობითი დაზღვევისაგან, თუმცა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ეს უკანასკნელიც უაღრესად მასობრივია.

ჩვენი მოკლე მიმოხილვა ორ ქვეყანას – ინგლისსა და აშშ-ს შეეხო. ეს შემთხვევითი არ არის. როგორც ჩვენ ამას შემდგომში ვნახავთ, ინგლისი აქტუარის პროფესიის სამშობლოს წარმოადგენს. აშშ-შიც ამ პროფესიას უაღრესად ღრმა ტრადიციები გააჩნია. უდავოა, რომ აქტუარის პროფესიის განვითარების თვალსაზრისით, ამ ორ ქვეყანას დღესაც ლიდერის პოზიცია უკავია.

აქტუარის პროფესიის საწყისები. კვლავ დაეუბრუნდეთ რენესანსის ეპოქას, როდესაც, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, იტალიურ ქალაქებში თანამედროვე ტიპის დაზღვევის პრაქტიკა გაჩნდა. ეს დრო იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ იმავე ქალაქებში მოსახლეობისა და ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების სისტემატური შეგროვება განახლდა. ეს საქმიანობა, ისევე როგორც სადაზღვევო პრაქტიკა, სხვადასხვა ზღვისპირა სახელმწიფოში გავრცელდა.

1530 წელს ინგლისის ეკლესიებმა სიკვდილიანობის შესახებ მონაცემების შეგროვება დაიწყეს, რათა ამ მონაცემების მიხედვით დროულად გაეგოთ შავი ჭირის მომავალი “აფეთქების” დასაწყისი. 1604 წლიდან დაიწყო ლონდონისათვის ამგვარი მონაცემების ყოველკვირეული გამოქვეყნება. 1662 წელს ჯონ გრანტი (John Graunt) თავისი ცნობილი ნაშრომი “Natural and Plitical Observations Made upon the Bills of Mortality” გამოსცა, რომელშიც ამ სტატისტიკური მონაცემების დესკრიპციული (აღწერითი) ანალიზი იყო ჩატარებული. ცნობილია, რომ ჯონ გრანტი არ იყო მეცნიერი (სტატისტიკოსი, დემოგრაფი ან მათემატიკოსი) და არც მისი ნაშრომი იყო სამეცნიერო, მაგრამ სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი სიკვდილიანობის მომავალ სტატისტიკურ ანალიზსა და მათემატიკურ მოდელირებას.

1691 წელს ნიდერლანდებში და 1693 წელს ინგლისში ორი ნაშრომი გამოქვეყნდა, რომელთა გამოჩენაც, საყოველთაო აღიარებით, აქტუარული მეცნიერების საწყისად ითვლება. პირველი მათგანი ნიდერლანდების იმდროინდელ პრემიერ-მინისტრ ჯოან დე ვიტს (Johann de Wit) ეკუთვნოდა, ხოლო მეორის ავტორი სახელგანთქმული ასტრონომი ედმუნდ ჰალეი (Edmund Halley) იყო, რომლის ახელიც ფართო საზოგადოებისათვის მის მიერ აღმოჩენილი კომეტის წყალობით არის ცნობილი. ნაშრომები მსგავს იდეებს შეიცავდნენ და წლიური რენტის გათვლას ეძღვნებოდნენ, რისთვისაც ავტორების მიერ უღპიანეს ტაბულების უფრო სრულყოფილი ვარიანტი იყო შემოთავაზებული. ტაბულების სრულყოფა იმაში მდგომარეობდა, რომ მოცემულ ასაკობრივ ინტერვალში, ადამიანთა მოცემული რაოდენობისათვის გარდაცვალებათა რიცხვი, რომელიც ქ. ბრესლაუში სიკვდილიანობაზე ემპირიული დაკვირვების შედეგად იყო დადგენილი, დეტერმინირებულად ითვლებოდა.

1756 წელს ჯ. პოდსონმა (Joseph Podson) ჰალეის ტაბულებში შესწორებები შეიტანა, რამაც მას ე.წ. “წლების მიხედვით პრემიების სკალის” შედგენის საშუალება მისცა.

იმ დროს, როდესაც დიდ ბრიტანეთში სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და მათი ემპირიული ანალიზის პროცესი მიმდინარეობდა, კონტინენტალურ ევროპაში სხვა, ფრიად ღირსესანიშნავი მოვლენა მოხდა. 1600 წელს ორი გამოჩენილი მეცნიერის ფერმასა (Fermat) და პასკალის (Pascal) მიმოწერაში, საფუძველი ჩაეყარა სრულიად ახალ, შემთხვევითობის შემსწავლელ მათემატიკურ დისციპლინას – ალბათობის თეორიას. მიმოწერა, ისევე როგორც საერთოდ ალბათობის თეორიის საწყისი ეტაპი, აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას ეძღვნებოდა, მაგრამ უკვე შემდგომი თაობების მათემატიკოსებმა აქტუარულ მეცნიერებაში თავისთვის საინტერესო პრობლემები დაინახეს და მათ გადაჭრაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დავასახელოთ XVIII და XIX საუკუნეების ისეთი დიდი მეცნიერები, როგორც ლ. ეილერი (Leonard Euler), ჯ. და დ. ბერნული (James and Daniel Bernulli), კ. ფ. გაუსი (Carl Friedrich Gauss), ა. დე მუავრი (Adraham de Moivre), ბ. გომპერტცი (Benjamin Gompertz), და სხვა. ეს შესანიშნავი ტრადიცია შემდგომშიც გაგრძელდა და თანამედროვე აქტუარულ მეცნიერებაში ალბათობის თეორიის მეთოდები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ.

1762 წელს, ინგლისში, პირველი სიცოცხლის დაზღვევის კომპანია (Equitable Life Assurance Society) შეიქმნა. კომპანიის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და სულისჩამდგმელი, მათემატიკოსი ჯეიმს დოდსონი (James Dodson) იყო. იმ დროს, სიცოცხლის დაზღვევა, ისევე როგორც საზღვაო და ხანძრისაგან დაზღვევა, მხოლოდ მოკლევადიანი ფორმით არსებობდა და 46 წლის დოდსონს (რაც იმ დროს საკმაო ხანდაზმულობას ნიშნავდა) ამგვარი დაზღვევის პოლისის შეძენა გაუჭირდა. განაწყენებულმა, მან ხანგრძლივი სიცოცხლის დაზღვევის პრინციპი გაითვალისწინა. ეს პრინციპი ახლად შექმნილ კომპანიაში დაინერგა, ასე, რომ იგი პირველ კომპანიად შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც მეცნიერულ პრინციპებზე მუშაობდა.

დოდსონის (47 წლის ასაკში) გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი ედვარდ მოურსმა (Edward Rowe Mores) დაიკავა და “აქტუარის” ტერმინისა და თანამდებობის შემოღება სწორედ მისი დამსახურებაა. მოურსი სრულიად არ გულისხმობდა, რომ აქტუარი მათემატიკოსი უნდა ყოფილიყო – კომპანიის პირველი ოთხი აქტუარი ჩვეულებრივი ადმინისტრაციული მუშაკი იყო. როდესაც კომპანიას გამოთვლები ან კონსულტაცია სჭირდებოდა, მისი ხელმძღვანელები მათემატიკოსებს გარედან იწვევდნენ. ერთ-ერთი ასეთი კონსულტანტი რიჩარდ პრაისი (Richard Price) იყო, რომელიც, როგორც აქტუარული მეცნიერების პირველი მნიშვნელოვანი ნაშრომის “Observe on Reversionary Payments” ავტორი, არის ცნობილი.

1775 წელს, პრაისის რეკომენდაციით, სადაზღვევო კომპანიაში ახალი ადმინისტრატორი – აქტუარი დაინიშნა. ეს თანამდებობა პრაისის დისშვილმა, ვილიამ მორგანმა (William Morgan) დაიკავა, რომელიც, ამავე დროს, სამეფო საზოგადოების თვალსაჩინო წევრი (Eminent Fellow of the Royal Society) და შესანიშნავი მათემატიკოსი იყო. აქტუარულ მეცნიერებაში ცნობილია მისი მნიშვნელოვანი ნაშრომი “The Doctrine of Annuities and Assurances on Lives and Survivorships”, რომელიც 1779 წელს გამოქვეყნდა.

მორგანამდე სამი პიროვნება არსებობდა – დოდსონი, მოურსი და პრაისი, რომლებიც ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით აქტუარები იყვნენ, მაგრამ ამ წოდებას არ ატარებდნენ. ამავე დროს, არსებობდა

ზემოხსენებული ოთხი აქტუარი, რომლებიც დღევანდელი გაგებით, სინამდვილეში, აქტუარები არ იყვნენ. ცნობილია, რომ მორგანს არ მოსწონდა აქტუარის წოდება, მაგრამ თავისი მონაცემებისა და პიროვნული თვისებების წყალობით, სწორედ ის იყო პირველი, ვინც ამ წოდებას თავისი საქმიანობით მისი დღევანდელი შინაარსი შესძინა. ადმინისტრაციულ მოღვაწეობასთან ერთად, მორგანი პრემიების სიდიდეების გამოთვლასა და საერთოდ, კომპანიის ფინანსურ მენეჯმენტს აწარმოებდა. მისი მუშაობის სტილი შემდეგი ორი თვისებით გამოირჩეოდა: გადაწყვეტილების მიღებისადმი მათემატიკურ მეთოდებსა და სტატისტიკაზე დაფუძნებული მეცნიერული მიდგომით და მიღებული გადაწყვეტილებების ცხოვრებაში მტკიცედ გატარებით, მაშინაც კი, როდესაც მისი გადაწყვეტილებები ხელმძღვანელობისა და პოლისების მფლობელების გაუმართლებელ ოპტიმიზმს ეწინააღმდეგებოდა. ჭეშმარიტად, ეს თვისებები დღევანდელი აქტუარისთვისაც უაღრესად სასურველი და მნიშვნელოვანია.

XIX საუკუნის დასაწყისში აქტუარის თანამდებობა დიდი ბრიტანეთის მრავალი სიცოცხლის დაზღვევის კომპანიაში დაარსდა. უფრო მეტიც, 1819 წლის ახალი კანონმდებლობა პირდაპირ მოითხოვდა, რომ ყოველ კომპანიას თავისი საკუთარი აქტუარი დაენიშნა, რათა მას კომპანიის ფინანსური მდგომარეობისათვის თვალყური ედევნა.

XIX საუკუნის შუაში ინგლისში უკვე მრავალი ადამიანი არსებობდა, რომელიც თავის თავს აქტუარს უწოდებდა. ცნობილი ინგლისური ტრადიციის თანახმად, მათ რამოდენიმე პროფესიული კლუბი დააარსეს, მაგალითად: “Association of Scottish Life Offices” ედინბურგში და “Actuaries Club” ლონდონში. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა აზრი, რომ საჭირო იყო ახალი, ღია, პროფესიული ორგანიზაციის დაარსება, რომელიც აქტუარების განათლებას, სამეცნიერო კვლევების ჩატარებას, პროფესიის განვითარებას და პროფესიონალური მოღვაწეობის მაღალი სტანდარტების შენარჩუნებას უზრუნველყოფდა.

1848 წელს ლონდონში აქტუარების ინსტიტუტი (Institute of Actuaries) ჩამოყალიბდა, რასაც 1856 წელს შოტლანდიაში მსგავსი ორგანიზაციის (Faculty of Actuaries) დაარსება მოჰყვა. საკმაოდ სწრაფად ამ ორგანიზაციებმა იმდენად მაღალი ნდობა დაიმსახურა, რომ დიდი ბრიტანეთის 1870 წლის დაზღვევის შესახებ პირველ კანონში (Life Assurance Act) განსაკუთრებული როლი მიენიჭა აქტუარების მიერ პერიოდულად (თავდაპირველად ათ წელიწადში ერთხელ) კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებასა და ამ შეფასების შედეგების გამოქვეყნებას.

შემდგომი წლების განმავლობაში, განსაკუთრებით ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, ავსტრალიასა და იაპონიაში, სადაზღვევო საქმიანობის შთამბეჭდავი განვითარება შეიმჩნეოდა, რამაც, შესაბამისად, ამ ქვეყნებში აქტუარულ ასოციაციათა რაოდენობის ზრდა გამოიწვია.

1895 წელს ბრიუსელში პირველი საერთაშორისო კონგრესი ჩატარდა და აქტუარების საერთაშორისო ასოციაცია (International Actuarial Association) ჩამოყალიბდა. ამით დასაბამი დაედო პროფესიის ინტერნაციონალიზაციის პროცესს.